განმცხადებელი : კახა კუკავა

თარიღი : 29-10-2024

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : „სფერო TV“ „სფერო TV-ს ჟურნალისტი თათია არაბიძე.

სადავო მასალა : 1. 2024 წლის 25 ოქრომბერს „სფერო TV-ს“ ეთერში 19:00 საათზე გასული სიუჟეტი 2. სოციალურ ქსელში Facebook-ში განთავსებული პოსტი შემდეგი სახელწოდებით - „გაერთიანება ბრძოლის ახალ ეტაპზე გადავიდა - დღეს, იურისტებმა მევახშესთან ალიანსში მყოფი, პოლიტიკოსი კახა კუკავა ამხილეს“.

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : ქარტიის 1-ლი პრინციპი: „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“ - გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს სიცრუეს. კახა კუკავას არანაირი ინტერესი არ გააჩნია სამევახშეო საქმიანობაში და მრავალი წელია იბრძვის გამოსახლების წინაარმდეგ, ის არ ახორციელებს არცერთი მევახშის უფლების დაცვას და ზ/ა სიუჟეტშიც არ არის იდენტიფიცირებული ვინ არის მევახშე ან რა ფორმით ახორციელებს კახა კუკავა მისი ინტერესების დაცვას. - „იგი თავს არიდებს და იგი ცდილობს გაექცეს სამართლებრივ პასუხისმგებლობას“. კახა კუკავა არანაირ სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ არიდებს თავს, მით უფრო მაშინ როდესაც არ არსებობს არანაირი კონკრეტული სამართლებრივი პროცესი ან პასუხისმგებლობა რაზეც მითითებული იქნებოდა სიუჟეტში. ქარტიის მე-11 პრინციპი: ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: • ფაქტის განზრახ დამახინჯება; • ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ; • პლაგიატი. ზ/ა სიუჟეტის მომზადებაში მონაწილეობდა „იპოთეკითა და „მევახშეებისგან“ დაზარალებულთა გაერთიანების“ იურისტი სოფო პეტრიაშვილი, რომელიც როგორც წარმოადგენდა წულეისკირის ინტერესებს და ახორციელებდა გამოძალვას, სახელდობრ: კახა კუკავასგან მოითხოვდნენ რომ მას ზეგავლენა მოეხდინა სხვა პირზე - კერძო მესაკუთრეზე, რომ მას გაესხვისებინა თავისი ქონება წულეისკირზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდნენ რომ გავიდოდა მისი მაკომპომეტირებელი სიუჟეტი.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები